მდგრადობის პოლისი
ვიზიტ ჯორჯია

2025

VisitGeorgia
Inbound Tour Operator

მდგრადობის პოლისი შექმნილია Travelife-ის კრიტერიუმების მიხედვით
საქართველო, თბილისი

2025

სარჩევი

მდგრადობის მენეჯმენტი და სამართლებრივი შესაბამისობა 5
1.1 მდგრადობის მენეჯერი და მდგრადობის გუნდი 5
1.2 გაწეული რესურსები 5
1.3 ჩვენი მისია 5
1.4 მდგრადობის პოლიტიკა 5
1.5 სამოქმედო გეგმა 5
1.6 მონიტორინგი და შეფასება 6
1.7 სამართლებრივი მოთხოვნების განხილვა 6
1.8 სამართლებრივი თანამშრომლობა 6
1.9 ჯანსაღი კონკურენცია 6
1.10 მიწოდების ჯაჭვის პასუხისმგებლობა 6
შიდა მენეჯმენტი: სოციალური პოლიტიკა და ადამიანის უფლებები 6
2.1 ასოციაციის წევრობის უფლება 6
2.2 ჯანმრთელობისა და უსაფთხოების პოლიტიკა 6
შიდა მენეჯმენტი: გარემოსა და საზოგადოების ურთიერთობები 7
3.1 ერთჯერადი მოხმარების ნივთების შემცირება 7
3.2 მდგრადი შესყიდვების პოლიტიკა 8
3.3 ადგილობრივი საქონელი და სერვისები 9
3.4 ენერგიის მოხმარების შემცირების პოლიტიკა 9
3.4 ვიზიტ ჯორჯიას „ენერგიის მოხმარების შემცირების პოლიტიკა“ ოთხ მთავარ პრინციპს ეფუძნება 9
3.5 მდგრადი ენერგია 9
3.6 შუქის ჩაქრობის პოლიტიკა 9
3.7 ენერგოეფექტური აღჭურვილობა 10
3.8 წყლის შემცირების პოლიტიკა 10
3.9 ნარჩენების შემცირების პოლიტიკა 11
3.10 დაბინძურების შემცირების პოლიტიკა 11
3.11 საქმიანი მოგზაურობისას გამოყოფილი გამონაბოლქვი 11
3.13 მანქანის შეძენა ან იჯარა 12

ტრანსპორტი 12
4.1 დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირება 12
4.2 ნახშირორჟანგის მენეჯმენტი 13
საცხოვრებელი 13
5.1 მდგრადი საცხოვრებელი პოლიტიკა 13
5.2 სერტიფიცირებული საცხოვრებელი ობიექტები 13
5.3 კონტრაქტის პირობები 13
5.4 კოლექტიური ქმედებები 13
5.5 ბავშვთა შრომა და იძულებითი შრომა 14
5.6 საცხოვრებელი ობიექტები და ადგილობრივი კულტურა 14
5.7 ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია 14
5.8 ადგილობრივი საზოგადოებების რესურსები 14
აქტივობები 14
6.1 სერტიფიცირებული ექსკურსიები 14
6.2 ბიომრავალფეროვნების დაცვა 15
6.3 ველური ბუნების ჩართულობა 15
6.4 ველური ბუნების გამოყენება 15
6.5 ველურ ბუნებასთან ურთიერთქმედება 15
6.6 ადგილობრივი თემების მხარდაჭერა 16
ტურ ლიდერები, ადგილობრივი წარმომადგენლები და გიდები 16
7.1 ადგილობრივი ტურ ლიდერის/ წარმომადგენლის უპირატესობა 16
7.2 დასაქმების პირობები 16
7.3 ღირსეული ხელფასი 16
7.4 ლიცენზია 16
7.5 კვალიფიკაცია და ტრენინგი 17
7.6 მდგრადობის პოლიტიკის გაცნობა 17
7.7 მდგრადი ტურიზმის ცოდნა 17
7.8 დანიშნულების ადგილის ცოდნა 17
7.9 მომხმარებელთან კომუნიკაცია 17
7.10 ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის პრევენცია: პერსონალის ტრენინგი 17
7.11 სამუშაო პირობები 17
მიმართულებები 18
8.1 მდგრადი ტურისტული მიმართულებები 18
8.2 არამდგრადი ტურისტული მიმართულებები 18
8.3 შესაბამისობა ადგილობრივ დაგეგმვასთან 18
8.4 აკრძალული სუვენირები 18
მომხმარებელთან ურთიერთობა და დაცვა 18

9.1 საკონსულტაციო სახელმძღვანელო პრინციპები 18
9.2 მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის სისტემა 18
9.3 მომხმარებლის კონფიდენციალურობა 19
9.4 მარკეტინგი და კომუნიკაცია 19
9.5 პროდუქტის ინფორმაცია 19
9.6 დანიშნულების ადგილის ინფორმაცია 19
9.7 ჯგუფის ზომის ინფორმაცია 19
9.8 სათბური გაზების/ნახშირბადის ემისიების მაჩვენებელი 19
9.9 მდგრადი ტრანსპორტი 19
9.10 მდგრადი განთავსებისა და ექსკურსიების აღნიშვნა 20
9.11 მდგრადი შეთავაზებების კონსულტაცია 20
9.12 დანიშნულების ადგილის ინფორმაცია და ინტერპრეტაცია 20

თავი 1

მდგრადობის მენეჯმენტი და სამართლებრივი შესაბამისობა

1.1 მდგრადობის მენეჯერი და მდგრადობის გუნდი

ვიზიტ ჯორჯიამ მის ორგანიზაციულ სტრუქტურაში შექმნა მდგრადობის მენეჯერის პოზიცია და ამ თანამდებობაზე დანიშნა პირი, რომელიც იმუშავებს მდგრადი განვითარების საკითხებზე. მისი მთავარი მოვალეობაა მდგრადობასთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავება და სხვადასხვა სახის ინიციატივების განხორციელება. ასევე მის პასუხისმგებლობას მიეკუთვნება Travelife-თან მუდმივი კომუნიკაცია და ვიზიტ ჯორჯიას მდგრადობის ანგარიშების წარდგენა.
Travelife-ის სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში ყოფნისა და მდგრადობის საკითხების საერთო აღქმის დამკვიდრების მიზნით, ვიზიტ ჯორჯიაში შეიქმნა მდგრადობის გუნდი. ეს უკანასკნელი აქტიურად მონაწილეობს კომპანიის მდგრადი განვითარების პროცესებსა და Travelife-ის მიერ შემოთავაზებულ სასწავლო კურსებში.

1.2 გაწეული რესურსები

ვიზიტ ჯორჯიას სურს უზრუნველყოს საკუთარი მდგრადობის პოლიტიკის დანერგვა ადეკვატური ადამიანური და ფინანსური რესურსების გამოყენებით. მენეჯმენტი პირობას დებს, რომ სათანადო მხარდაჭერას გამოავლენს მგრადობის მიზნების მისაღწევად, მხარს დაუჭერს მზარდ განვითარებას და ეფექტურად დანერგავს მდგრადობის პრაქტიკას მოქმედების ყველა არეალში.

1.3 ჩვენი მისია

ტურისტული სააგენტო ვიზიტ ჯორჯია მდგრადობის პრინციპების პრაქტიკაში დანერგვით, მიზნად ისახავს ადგილობრივი საზოგადოებების გაძლიერებას, ტრადიციების შენარჩუნებას, გარემოზე მისი ზეგავლენის შემცირებას და თანამშრომელთათვის ჯანსაღი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფას.
აღნიშნული პოლისი არეგულირებს ვიზიტ ჯორჯიას მენეჯმენტის, თანამშრომლებისა და სერვისის ადგილობრივი მომწოდებლების ქმედებებს მდგრადობის ხელშეწყობის კუთხით. მისი განხორციელება პოზიტიურად აისახება კომპანიის თანამშრომელთა ყოფასა და რეგიონებში მცხოვრებ იმ ოჯახებზე, რომლებთანაც ვთანამშრომლობთ.

1.4 მდგრადობის პოლიტიკა

ვიზიტ ჯორჯიამ შექმნა საკუთარი მდგრადი განვითარების პოლიტიკა, რომელიც სრულ თანხვედრაშია Travelife-ის კრიტერიუმებთან. აღნიშნული დოკუმენტი საჯაროა და მარტივად ხელმისაწვდომია, როგორც ჩვენი თანამშრომლებისთვის, ისე პარტნიორი ორგანიზაციებისთვის. მასში განსაზღვურლია ვიზიტ ჯორჯიას მდგრადობის მისია, ამოცანები და სტრატეგიები. ვიზიტ ჯორჯიას მდგრადი განვითარების პოლიტიკა მიზნად ისახავს კომპანიის უარყოფითი სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ზემოქმედების მქონე ქმედებების მინიმუმამდე შემცირებას. ასევე მასში ყურადღება გამახვილებულია კომპანიის თანამშრომლების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხებზეც.

1.5 სამოქმედო გეგმა

ვიზიტ ჯორჯიამ შექმნა მდგრადობის სამოქმედო გეგმა, რომელშიც დეტალურად არის განსაზღვრული კომპანიის მიზნები, დაგეგმილი აქტივობები, მათი განხორციელების ვადები, პასუხისმგებელი პირები და ეფექტურობის გასაზომი მექანიზმები. თითოეულ თანამშრომელს თავისი როლი გააჩნია ხსენებული აქტივობების განცხოციელებაში. ეს პროაქტიული მიდგომა უზრუნველყოფს კომპანიის ყველა წევრის აქტიურ ჩართულობას მდგრადობის პროცესებში.

1.6 მონიტორინგი და შეფასება
ვიზიტ ჯორჯიამ შეიმუშავა მონიტორინგისა და შეფასების პროცედურები, რათა შევაფასოთ კომპანიის მდგრადობის პოლისით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესრულების ხარისხი. ამ პროცესში აქტიურად გამოვიყენებთ „Travelife-ის მონიტორნიგისა და შეფასების მექანიზმს, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევაგროვოთ და ერთიან სივრცეში დავახარისხოთ ინფორმაცია ისეთ თემებზე, როგორებიცაა: ენერგიის მოხმარება, ქაღალდის მოხმარება, ნარჩენების მართვა, თანამშრომელთა ტრენინგები, სასტუმროები, ექსკურსიები და სხვა. აღნიშნულ მუდმივად განახლებად დოკუმენტში ინფორმაციის შეყვანა დაევალათ ჩვენი გუნდის სხვადასხვა წევრებს. ეს მექანიზმი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ჩვენი საწყისი დონე და შევაფასოთ, მივაღწიეთ თუ არა ჩვენს წლიურ მიზნებს.

1.7 სამართლებრივი მოთხოვნების განხილვა
ვიზიტ ჯორჯია თვალყურს ადევნებს საერთაშორისო, ეროვნული და ადგილობრივი სამართლებრივი მოთხოვნების განახლებად სიას.

1.8 სამართლებრივი თანამშრომლობა
ვიზიტ ჯორჯია თანხვედრაშია ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების, შრომის, გარემოსა და ეთიკური სტანდარტების სამართლებრივ მოთხოვნებთან.

1.9 ჯანსაღი კონკურენცია
ვიზიტ ჯორჯია არ არის ჩართული არაჯანსაღ კონკურენციაში და არ არღვევს ანტიმონოპოლურ კანონმდებლობას.

1.10 მიწოდების ჯაჭვის პასუხისმგებლობა
აქვე ვაცხადებთ, რომ არ გვაქვს რაიმე ასოციაცია იმ სუბიექტებთან, რომლებიც გასამართლებული არიან იძულებითი შრომისა და გარემოსდაცვითი დარღვევებისთვის.

თავი 2
შიდა მენეჯმენტი: სოციალური პოლიტიკა და ადამიანის უფლებები

2.1 ასოციაციის წევრობის უფლება
ვიზიტ ჯორჯია არ ზღუდავს პროფესიული კავშირების წევრობას, კოლექტიურ შრომით მოლაპარაკებებში მონაწილეობასა და პროფესიული კავშირების მიერ მისი თანამშრომლების მხარდაჭერას.

2.2 ჯანმრთელობისა და უსაფთხოების პოლიტიკა
ვიზიტ ჯორჯია სრულ თანხვედრაშია ყველა იმ ადგილობრივ კანონთან თუ რეგულაციასთან, რომლებიც იცავენ თანამშრომელთა და მომხმარებელთა (ვიზიტორთა) კეთილდღეობას. იმედი გვაქვს რომ თითოეული ჩვენი თანამშრომელი პროაქტიულად დაიცავს ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სტანდარტებს. ჩვენ ჩვენის მხრივ ვიხელმძღვანელებთ შემდეგი პრინციპებით:

- სამუშაო გარემო არის უსაფრთხო
- თანამშრომელთა ჯანმრთელობის პრობლემების გამომწვევი რისკები შემცირებულია
- უსაფრთხოების დოკუმენტები მიღებულია და პრაქტიკაში ხორციელდება
- ნებისმიერი ნივთი შენახულია შესაბამისი წესების დაცვით
- თანამშრომლებს წვდომა აქვთ პირველადი დახმარების საშუალებებზე
- თანამშრომლები აქვთ ინფორმაცია მათ საქმიანობასთან დაკავშირებულ საფრთხეებზე, უტარდებათ ტრენინგები და სამუშაო პროცესის უსაფრთხოება მუდმივად კონტროლდება
- სამუშაო სივრცე აღჭურვილია საევაკუაციო გეგმებით

- ჰაერის გაგრილების სიტემა, განათება, საპირფარეშოები და სხვა შიდა ობიექტები თანხვედრაშია უსაფრთხოების სტანდარტებთან
- რეგულარულად მოწმდება თუ რამდენად დანიშნულებისამებრ გამოიყენება კომპანიის ოპერირებისთვის საჭირო აღჭურვილობა
- კონტროლდება ისეთი ნივთიერებების გამოყენება, რომლებიც შეიძლება საფთხის შემცველი იყოს ჯანმრთელობისთვის
- მაქსიმალურად შეზღუდულია ისეთი საქმიანობები, რომლებიც თანამშრომელთა ფიზიკურ ჩართულობას მოითხოვს და შეიცავს სხეულის დაზიანების რისკებს
- საჭიროების შემთხვევაში ყურადღებას ვაქცევთ თანამშრომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობას
- ნიშნები ჯამრთელობისა თუ უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით განთავსებულია წესების დაცვით
- აღვრიცხავთ თითორულ ინციდენტს
- ოფისი წესების დაცვით ნიავდება და თითოეული თანამშრომლისთვის სუფთა ჰაერი უზრუნველყოფილია
- ჰაერის ტეპერატურა რეგულირდება ნორმების დაცვით (სამუშაო სივრცეში მინიმალური ტემპერატურა განისაზღვრება 23 გრადუსით)
- ოფისის ყველა სივრცე არის კარგად განათებული
- სამუშაო სივრცე და აღჭურვილობა მუდმივად სუფთა და მოწესრიგებულ კონდიციაშია
- სამუშაო სივრცე საკმარისია შეუფერხებელი გადაადგილებისთვის (მინიმუმ 11 m^2 ერთ პერსონაზე)
- თანამშრომლები უზრუნველყოფილნი არიან მოვალეობის შესრულებისთვის საჭირო ყველა ნივთით
- იატაკი, კიბეები და სხვა მაკავშირებელი არეალები უსაფრთხოა გადაადგილებისთვის
- თანამშრომლები დაცულნი არიან მაღალი სართულიდან გადმოვარდნის საფრთხისგან
- ფანჯრები, კარები და გასასვლელები აკმაყოფილებს უსაფრთხოების ნორმებს
- ოფისი აღჭურვილია სუფთა წყლითა და ხელსაბანებით
- თანამშრომლები უზრუნველყოფილნი არიან შესვენებითა და შვებულებით
- ასევე გარანტირებულია ველზე მომუშავე თანაშმრომლების უსაფრთხოებაც

თავი 3
შიდა მენეჯმენტი: გარემოსა და საზოგადოების ურთიერთობები

3.1 ერთჯერადი მოხმარების ნივთების შემცირება

ვიზიტ ჯორჯია იზიარებს მოსაზრებას, რომ ერთჯერადი ნივთების მოხმარება უარყოფით გავლენას ახდენს სითბური აირების გამოყოფასა და კლიმატის ცვლილებაზე. აღნიშნული გამოწვევის დაძლევის მიზნით, გადავწყვიტეთ, რომ შევიმუშავოთ კორპორატიული კულტურა რომელიც ორიენტირებულია ერთჯერადი ნივთების რაციონალურ გამოყენებაზე.

ჩვენი მიზანია მაქსიმალურად შევამციროთ ერთჯერადი გამოყენების ნივთების მოხმარება და ამ გზით შევამციროთ ჩვენი გავლენა გარემოსა და რესურსების არარაციონალურ გამოყენებაზე. ვიზიტ ჯორჯიამ პრაქტიკაში დანერგა 5R-ის პრინციპი:

შეზღუდვა: შესყიდვის განხორციელებამდე ვსვამთ კითხვას, ნამდვილად გვჭირდება თუ არა კონკრეტული ერთჯერადი გამოყენების ნივთი

შემცირება: ვარკვევთ შეგვიძლია თუ არა ერთჯერადი გამოყენების ნივთზე უარის თქმა ან მისი მდგრადი ალტერნატივებით ჩანაცვლება

ხელახალი გამოყენება: ვაანალიზებთ ნივთის მრავალჯერ და ხანგრძლივად გამოყენების პერსპექტივას

სხვა მიზნით გამოყენება: ვცდილობთ ერთჯერადი გამოყენების ნივთების სხვა დანიშნულებით მოხმარებას

გადამუშავება: ნივთის გამოყენების რესურსის ამოწურვის შემდეგ ვუზრუნველყოფთ მის გადამუშავებას

3.2 მდგრადი შესყიდვების პოლიტიკა

მდგრადობისადმი ჩვენი ვალდებულების ფარგლებში, ვიზიტ ჯორჯიამ შექმნა "მდგრადი შესყიდვების პოლიტიკა", რათა ამ მიმართულებით გავაძლიეროთ ჩვენი ძალისხმევა. აღნიშნული პოლიტიკა აერთიანებს პროდუქტისა თუ სერვისის შესყიდვის ისეთ პრინციპებს, რომლებიც უზრუნველყოფენ გარემოზე ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირებასა და სოციალურად პასუხმისმგებლიანი ინიციატივების მხარდაჭერას. შესყიდვის განხორციელებამდე ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების მიხედვით ვაფასებთ მის აუცილებლობას:

- ნამდვილად გვჭირდება თუ არა აღნიშნული პროდუქტი?
- შეიძლება თუ არა კონკრეტული ნივთის დაქირავება შესყიდვის ნაცვლად?
- ერთჯერადი მოხმარებისაა ნივთი თუ მისი გამოყენება ხანგრძლივად არის შესაძლებელი?
- წარმოადგენს თუ არა შესაძენი ნივთი დაბინძურების საფრთხეს პლანეტისთვის?
- შეგვიძლია თუ არა კონკრტული პროდუქტის ადგილობრივი მწარმოებლისგან შეძენა?
- შეგვიძლია თუ არა ნივთების ერთიანი რაოდენობით შესყიდვა და მავნე ემისიების თავიდან აცილების მიზნით მრავალჯერ განხორციელებული გადაზიდვების თავიდან არიდება?

ახალი ნივთის შესყიდვამდე	უპირატესობას ვანიჭებთ	ვყიდულობთ ერთიანად
- ვანახლებთ ან ხელახლა ვიყენებთ უკვე არსებულს და ვცილობთ გადაყრამდე მათ სხვა დანიშნულება მოვუძებნოთ.	პროდუქტებსა და სერვისებს, რომლებიც შექმნილია საზოგადოებებისა და პლანეტის კეთილდღეობის გათვალისწინებით. მაგალითად, ადგილობრივი ნაწარმი, გადამუშავებული ნივთები, ნატურალური პროდუქტები და სხვა ადგილობრივ მწარმოებლებს რომლებიც სერტიფიცირებულნი არიან მდგრადობის კუთხით ან აქვთ მდგრადობის პოლიტიკა მწარმობლებს რომლებიც იცავენ ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო შრომის რეგულაციებს	- ვცდილობთ ნივთების შესყიდვისას თავიდან ავირიდოთ დამატებითი შეფუთვები, ამიტომ მომწოდებლებს ვაფრთხილებთ, რომ პროდუქტი მოგვაწოდონ დამატებითი შეფუთვის გარეშე ან შეფუთვის მდგრადი საშუალებების გამოყენებით.

შენიშვნა: ჩვენ უარს ვამბობთ არქეოლოგიური/ისტორიული არტეფაქტების ან/და ისეთი პროდუქტების შეძენაზე, რომლებიც საფრთხეს უქმნის ფლორას და ფაუნას

შესყიდვის კრიტერიუმები სპეციფიური ნივთებისადმი	
ქაღალდი	ვყიდულობთ მხოლოდ ეკო-მეგობრულ თაბახის ფურცელს

ნათურები	ვყიდულობთ ლედ ნათურებს და ვითვალისწინებთ ენერგიის მოხმარებას (ვატში) და სინათლის გამოყოფა (ლუმენში). სტანდარტის მიხედვით ნათურა მოხმარებულ ვატზე მეტ ლუმენს უნდა გამოყოფდეს.
ელექტრონული მოწყობილობები	ვყიდულობთ თანამედროვე, ინოვაციურ და მრავალწლიანი მოხმარების მოწყობილობებს
ჩაი და ყავა	ვყიდულობთ პირდაპირ მწარმოებლისგან ან სერთიფიცირებული მოწმოდებლისგან დიდი რაოდენობით
ჰიგიენური საშუალებები	ვყიდულობთ ისეთ საშუალებებს, რომლებსაც ნაკლები უარყოფითი გავლენა აქვთ გარემოზე და ჩვენს თანაშმრომლებს ვამზადებთ ჰიგიენური საშუალებების ეკო-მეგობრულად გამოყენების მეთოდებში
ოფისის აღჭურვილობა	მუდმივად ვეძებთ ეკო-მეგობრულ ალტერნატივებს
საღებავები	ვყიდულობთ ტყვიისგან თავისუფალ და წყალზე დამზადებულ საღებავებს, რათა თანამშრომელთათვის უზრუნველვყოთ უსაფრთხო გარემო

3.3 ადგილობრივი საქონელი და სერვისები

როდესაც ეს შესაძლებელია, ვიზიტ ჯორჯია უპირატესობას ანიჭებს ადგილობრივ საქონელსა და მომსახურებას, რითაც მხარს უჭერს ადგილობრივ ეკონომიკას და ხელს უწყობს მდგრადობას მისი შესყიდვების პოლიტიკის შესაბამისად.

3.4 ენერგიის მოხმარების შემცირების პოლიტიკა

ვიზიტ ჯორჯია მიზნად ისახავს შეამციროს ენერგიის მოხმარება და შესაბამისად შეამციროს მისი გავლენა გარემოზე. ჩვენ შევიმუშავეთ სიღრმისეული პოლიტიკა, რომელიც შემდეგი ამოცანების შესრულებაზეა ორიენტირებული:

- შევამციროთ ენერგიის მოხმარება კომპანიის ოპერირებაში
- მაქისმალურად ოპტიმალურად გამოვიყენოთ ენერგია
- მივაწოდოთ ინფორმაცია ჩვენს თანამშრომლებს ენერგო ეფექტიან ქცევებთან დაკავშირებით

3.4 ვიზიტ ჯორჯიას „ენერგიის მოხმარების შემცირების პოლიტიკა“ ოთხ მთავარ პრინციპს ეფუძნება

1. ვიზიტ ჯორჯიას პერსონალი ფლობს ინფორმაციას გათბობისა და გაგრილების ენერგოეფექტურ მეთოდებზე, ახორციელებს მათ პრაქტიკაში, რათა არასამუშაო პერიოდში მაქსიმალურად დაზოგოს ენერგორესურსები.
2. ოფისი აღჭრუვილია ენერგოეფექტური ლედ ნათურებითა და თანამშრომლები აქტიურად აღასრულებენ „შუქის ჩაქრობის“ პოლიტიკას
3. ოფისი აღჭურვილია ენერგოეფექტური კომპიუტერებითა და პრინტერებით. თითოეული მოწყობილობა დაყენებულია ენერგოეფექტიან რეჟიმზე.
4. ვიზიტ ჯორჯიას პერსონალი აქტიურად იყენებს ელექტრონული ფოსტით კომუნიკაციის მეთოდს, ხოლო დიდი მოცულობის ფაილების გასაგზავნად მივმართავთ ონლაინ ბაზებში დოკუემტნების ატვირთვისა და ბმულების გენერირების პრაქტიკას.

ვიზიტ ჯორჯია რეგულარულად უწევს მონიტორინგს ენერგიის მოხმარებას და აფასებს ენერგიის შემცირების პოლიტიკის ეფექტიანობას. ნებისმიერი უკუკავშირი გათვალიწინებულია ენერგო რესურსების მოხმარების სტრატეგიაში. ამ მიმართულებით მუდმივად ვცდილობთ წინსვლას.

ვიზიტ ჯორჯიას თითოეული თანამშრომელი ვალდებულია მკაცრად დაიცვას ენერგიის მოხმარების შემცირების პოლიტიკა. აღნიშნული პოლიტიკა მუდმივად განხილვისა და გაუმჯობესების ობიექტია, რათა მაქსიმალურად ინტეგრირდეს მასში საერთაშორისო პრაქტიკა და თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევები.

3.5 მდგრადი ენერგია

ვიზიტ ჯორჯია ამჟამად იყენებს განახლებად ჰიდროენერგიას. თუმცა, ჩვენ ყურადღებით ვადევნებთ თვალს ტექნოლოგიურ პროგრესს და მზად ვართ გადავიდეთ მდგრად მწვანე ენერგიაზე, როგორც კი ქვეყანაში ამის შესაძლებლობა გაჩნდება.

3.6 შუქის ჩაქრობის პოლიტიკა

2021 წელს ვიზიტ ჯორჯიამ აამოქმედბა „შუქის ჩაქრობის“ პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ენერგიის დაზოგვასა და ბიზნეს ოპერირებაში მდგრადი პრაქტიკების დანერგვას. აღნიშნული პოლიტიკა რამდენიმე ძირითად პრინციპს აერთიანებს, რომელთა შესრულებაც თითოეული თანაშმრომლისთვის სავალდებულოა:

- თანამშრომლები ვალდებულნი არიან გამორთონ კომპიუტერები შესვენების პერიოდში და სამუშაო დღის დასრულების შემდეგ.

- თანამშრომლები ვალდებულნი არიან გათიშონ კონდიციონერი ოთახის დატოვებისას. ასევე კონდიციონერის მუშაობის პერიოდში ფანჯრები და კარები უნდა იყოს დაკეტილ მდგომარეობაში, რათა მინიმალური დანახარჯით გაგრილდეს ოთახი.
- თანამშრომლები ვალდებულნი არიან დაკეტონ ფანჯრები და კარები როდესაც გათბობის სისტემა ჩართულია.
- თანამშრომლები ვალდენულნი არიან ოთახის განიავებისას დროებით გათიშონ გათბობის რადიატორები
- თანამშრომლები ვალდებულნი არიან გათიშონ ნებისმიერი ელექტრონული მოწყობილობა როცა იგი გამოუყენებელ მდგომარეობაშია.

3.7 ენერგოეფექტური აღჭურვილობა

გარემოს მდგრადობის შესანარჩუნებლად აღებული პასუხიმგებლობის ფარგლებში, ვიზიტ ჯორჯია აქტიურად ნერგავს პრაქტიკაში ენერგიის ეფექტიანად მოხმარების თანამედროვე პრაქტიკას. ახალი აღჭურვილობის შესყიდვისას პრიორიტეტი ენიჭება ევროკავშირის ან Energy Star-ის მიერ აღიარებულ ენერგოეფექტიან მოწყობილობებს.

3.8 წყლის შემცირების პოლიტიკა

ვიზიტ ჯორჯიას მიერ წყლის გამოყენების შემცირება ანგარიშს უწევს გლობალური შენარჩუნების მცდელობებს. ჩვენი წყლის გამოყენების შემცირების პოლიტიკის მიზანია ჩვენი საქმიანობისას წყლის პასუხისმგებლობით გამოყენება, გლობალური შენარჩუნების მცდელობის მხარდაჭერა და ჩვენი ეკოლოგიური გავლენის შემცირება.

მიზნები:
. ოფისის საქმიანობაში წყლის გამოყენების შემცირება
. წყლის ეფექტური პრაქტიკებისა და ტექნოლოგიების დანერგვა
. წყლის გამოყენების მონიტორინგი, კონტროლი და შემცირების მიზნების დანიშვნა.

ნაბიჯი 1 - ყოველწლიური მონაცემების შეგროვების შემდეგ გავაანალიზებთ წყლის გამოყენების ტრენდებს, რათა ვიპოვოთ გაუმჯობესების არეალი, განვსაზღვროთ მაღალი გამოყენების პერიოდი, ზედმეტად გამოყენება და არაეფექტური სისტემები.
ნაბიჯი 2 - წარვადგენთ ეფექტური წყლის გამოყენების პრაქტიკებს და დავნერგავთ მდგრად საშუალებებს წყლის ზოგადი მოხმარების შესამცირებლად.
ნაბიჯი 3 - ვიზიტ ჯორჯია იმუშავებს წყლის გამოყენების შესამცირებლად ოფისში. ჩვენი მიზანია წყლის გამოყენება შემდეგ წლამდე 10%-ით შევამციროთ.
ამისათვის:
- მცირე დაზიანების შემთხვევაშიც კი დაუყოვნებლივ შევაკეთებთ ონკანებს, ვინაიდან წყლის ნელი გაჟონვაც კი ანგარიშგასაწევი წყლის დაკარგვაა.
- ჩავრთავთ წყლის დაზოგვის მითითებებს და საუკეთესო პრაქტიკებს პერსონალის რეგულარული გადამზადებას
- მომსახურე პერსონალის წახალისება წყლის დასაზოგი ქცევების გამოსამუშავებლად
- პერიოდული განახლებულ ინფორმაციის გამოქვეყნება, რათა თანამშრომლებმა ნახონ როგორ პროგრესირებენ მიზნის მისაღწევად და წყლის მოხმარების შესამცირებლად
- თანამშრომლის დანიშვნა რეგულარულად წყლის მოხმარების მონიტორინგისა და მოხსენებების წარსადგენად
- დავამონტაჟებთ წყლის ეფექტური ონკანებს ნაკადის შემზღუდველებით და ტემპერატურის კონტროლის მახასიათებლებით.

3.9 ნარჩენების შემცირების პოლიტიკა

ვიზიტ ჯორჯიას ნარჩენების შემცირების პოლიტიკა დაფუძნებულია 5R-ის პრინციპზე, რაც ნარჩენების წარმოქმნის მინიმუმამდე შემცირებას ისახვს მიზნად. აღნიშნული პოლიტიკა მოიცავს შემდეგ მიდგომებს:

- გადამუშავებადი და მრავალჯერადად გამოყენებადი ნივთების გამოყენება
- საჭირო ინვენტარის ერთიანად შესყიდვა
- ზემდეტი შეფუთვების თავიდან არიდება
- მაღალი ხარისხის, მაღალი გამძლეობისა და მარტივად შეკეთებადი აღჭურვილობის შეძენა
- ერთჯერადი გამოყენების ნივთების მაქსიმალური დატვირთვით ათვისება
- ჯამრთელობისთვის საშიში საშუალებების ნაცვლად ეკო-მეგობრული საშუალებების გამოყენება
- საკვებისთვისა და წყლისთვის მრავალჯერადი გამოყენების სათავსოების გამოყენება
- ქაღალდის ჭიქების, პლასტმასის ბოთლების და სხვა მსგავსი ინვენტარის შეზღუვდა
- ძველი ავეჯისა და სხვა ინვენტარის საქველმოქმედო ორგანიზაციებისთვის გადაცემა
- ნარჩენების ეკო-ორგანიზაციებისთვის გადაცემა
- მრავალჯერადი გამოყენების ბოთლების პოპულარიზება

ნარჩნების შემცირების პოლიტიკის პროაქტიულ რეჟიმში განხორციელებამდე შევაფასეთ ნარჩენების მოსმხარების ამჟამინდელი დონე და დავისახეთ კონრეტული მიზნები:

- ფურცელზე ორმხრივი ბეჭდვის პრაქტიკის 100%-ით შენარჩუნება
- ქაღალდის მოხმარების მინიმუმამდე დაყვანა
- ბროშურების ბეჭდვაზე უარის თქმა
- ერთიანი შესყიდვების გაზრდა 25%-ით
- ოფისის ნარჩენების 30%-ის შემცირება
- გაწეული რესურსები

3.10 დაბინძურების შემცირების პოლიტიკა

ვიზიტ ჯორჯია ვალდებულია მინიმუმამდე დაიყვანოს გარემოზე ზემოქმედება, მდგრადი პრაქტიკის დანერგვით ყველა ოპერაციაში. აღნიშნული პოლიტიკა განსაზღვრავს ჩვენს მიდგომას ნარჩენების შემცირებასთან, რესურსების დაცვასთან და გადამუშავების ხელშეწყობასთან დაკავშირებით, რაც შეესაბამება ჩვენს მდგრადობის მიზნებსა და მოთხოვნებს. რესურსებისა და ნარჩენების პასუხისმგებლიანი მართვის უზრუნველსაყოფად, ვიზიტ ჯორჯია ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპებით:

– მოიხსნას არასაჭირო პროცესები, რომლებიც წარმოშობს ნარჩენებს;
– გამოვავლინოთ გადამუშავების შესაძლებლობები, როგორიცაა გამოყენებული სარეცხი წყლის ხელახალი გამოყენება;
– ტოქსიკური მასალების შემცვლელად გამოვიყენოთ ნაკლებად ტოქსიკური ან სრულიად არატოქსიკური მასალები;
– შევიძინოთ გადამუშავებული ან ხელახალი გამოყენებისა და გადამუშავებისთვის გამოსადეგი მასალები და შევიძინონ მხოლოდ აუცილებელი რაოდენობა;
– განსხვავებული ნარჩენების განცალკევება, რათა გაიზარდოს მათი გადამუშავებისა და ხელახალი გამოყენების შესაძლებლობები;
– ენერგიისა და წყლის დაზოგვის შესაძლებლობების გამოვლენა.

3.11 საქმიანი მოგზაურობისას გამოყოფილი გამონაბოლქვი

ვიზიტ ჯორჯია ვალდებულია მინიმუმამდე დაიყვანოს გარემოს დაბინძურება საქმიანი მოგზაურობების დროს და გაითვალისწინოს სხვადასხვა ფაქტორები დაგეგმვის პროცესში. მოგზაურობის ორგანიზებისას, ჩვენ პრიორიტეტს ვანიჭებთ დაბალი CO_2 ემისიის მქონე ფრენის ალტერნატივების შერჩევას, რათა მდგრადობის პრინციპები სრულად იყოს ინტეგრირებული ჩვენს საქმიანობაში.

– მოგზაურობის მიზანი;
– მოგზაურობის ხანგრძლივობა (დროის მიხედვით);
– ტრანსპორტის სახეობა;
– მანძილი (კილომეტრებში) თითოეული სატრანსპორტო საშუალებით;
– საწვავის მოხმარება ავტომობილებისთვის;
– CO2 ემისიის გამოთვლა (ტონებში).

3.13 მანქანის შეძენა ან იჯარა

ვიზიტ ჯორჯია პრიორიტეტს ანიჭებს საწვავის მოხმარების მაქსიმალური ეფექტურობის მქონე სატრანსპორტო საშუალებების შეძენას ან იჯარას. გადაწყვეტილების მიღებამდე განიხილება და შედარებულია თითოეული ვარიანტის MPG (მილი გალონზე) სხვა ალტერნატივებთან.

თავი 4
ტრანსპორტი

4.1 დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირება

ვიზიტ ჯორჯია მოწოდებულია ტრანსპორტირების საქმიანობიდან გამოწვეული გარემოს ზემოქმედების შემცირებისკენ, მდგრადი ტრანსპორტირების პრაქტიკის დანერგვითა და პარტნიორების მოტივირებით, განახორციელონ იგივე ნაბიჯები. ამ მიზნის მისაღწევად, სატრანსპორტო კონტრაქტორებთან თანამშრომლობისა და ტურების დაგეგმვის პროცესში, ჩვენ ვხელმძღვანელობთ შემდეგი პრინციპებით და კრიტერიუმებით:

– უპირატესობა ენიჭება ყველაზე ეფექტურ მარშრუტებს, რომლებიც ოპტიმიზირებენ როგორც დროს, ისე ნახშირორჟანგის ემისიებს. მაგ.: პირდაპირ ფრენებს, რომლებიც მაქსიმალურად ამცირებენ გადაჯდომებს;
– მოკლე დისტანციებზე მოგზაურობისთვის პრიორიტეტი ენიჭება სარკინიგზო ან ავტობუსით გადაადგილებას. მაგ.: რეგიონულ მატარებლებს ფრენებთან შედარებით;
– სტიმულირებულია საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყენება, როგორიცაა ავტობუსები, მეტრო, ტრამვაი და მიწისქვეშა სარკინიგზო სისტემა, განსაკუთრებით აეროპორტიდან ტრანსფერებისა და ქალაქის ტურებისთვის;
– ტრანსპორტის ზომა შეესაბამება ჯგუფის რაოდენობას, რათა თავიდან იქნას აცილებული ზედმეტი საწვავის მოხმარება (მაგ.: 50-ადგილიანი ავტობუსის გამოყენების თავიდან აცილება 15- კაციანი ჯგუფისთვის);
– უპირატესობა ენიჭება უახლესი და საწვავის მოხმარების მხრივ ყველაზე ეფექტური ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოყენებას, შეძენას ან იჯარით აღებას, მათ შორის ჰიბრიდული და ეკოლოგიურად სუფთა საწვავზე მომუშავე მანქანების;
– ხანგრძლივი გაჩერების წახალისება დანიშნულების ადგილებზე, რათა შემცირდეს გრძელვადიანი ფრენების სიხშირე და გაძლიერდეს მოგზაურობის გამოცდილება.

იგივე პრინციპები ვრცელდება აეროპორტის ტრანსფერზეც; ჩვენ ვიყენებთ იმავე სატრანსპორტო საშუალებებს ამ მიზნით. ყველა ჯგუფის წევრი ერთად იკრიბება (თუ მათი ჩამოსვლის დრო დიდად არ განსხვავდება) და ერთი ტრანსპორტით მიდიან სასტუმროში. ახალი ტურისტული მარშრუტების შექმნისას, პროდუქტის მენეჯერები ყოველთვის ეძებენ უფრო მდგრადი ტრანსპორტირების შესაძლებლობებს აეროპორტიდან.

4.2 ნახშირორჟანგის მენეჯმენტი

ვიზიტ ჯორჯია მიზნად ისახავს მოკლევადიან პერსპექტივაში გაზომოს თავისი ტურისტული პროდუქტების (მათ შორის ტრანსპორტის, საცხოვრებლისა და აქტივობების) შედეგად წარმოქმნილი სათბური გაზების ემისია, რათა შეამციროს პროდუქციის საერთო გარემოზე ზემოქმედება და მიაწოდოს ინფორმაცია თავის კლიენტებს.

თავი 5

საცხოვრებელი

5.1 მდგრადი საცხოვრებელი პოლიტიკა

ვიზიტ ჯორჯია პრიორიტეტს ანიჭებს იმ საცხოვრებელი ობიექტებს, რომლებიც არ აზიანებენ გარემოსა და ადგილობრივ თემებს. უპირატესობა ენიჭება ისეთ საცხოვრებლებს, რომლებიც ფლობენ საერთაშორისოდ აღიარებულ სერტიფიკატებს, როგორიცაა Travelife და ითვალისწინებენ ფასისა და კომფორტის კრიტერიუმებს. იმ საცხოვრებელი ობიექტების კონტრაქტი, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ადგილობრივი თემის ძირითად სერვისებზე (მაგ.: საკვები, წყალი, ენერგია, ჯანდაცვა) წვდომას ან ასეთი სერვისების მთლიანობას, შესაძლოა შეწყდეს.

5.2 სერტიფიცირებული საცხოვრებელი ობიექტები

ვიზიტ ჯორჯია უპირატესობას ანიჭებს საცხოვრებელ ობიექტებს, რომლებიც ფლობენ საერთაშორისო აღიარებულ სერტიფიკატებს, როგორიცაა Travelife ან გლობალური მდგრადი ტურიზმის საბჭოს (GSTC) მიერ აღიარებული სერტიფიკატები. იმ შემთხვევაში, თუ სერტიფიცირებული საცხოვრებელი არ არის ხელმისაწვდომი, ვიზიტ ჯორჯია უპირატესობას ანიჭებს იმ ობიექტებს, რომლებიც მდგრადი განვითარების პრაქტიკების თვალსაზრისით დადებითი და დადასტურებული რეპუტაციით გამოირჩევიან.

5.3 კონტრაქტის პირობები

მდგრადი ტურიზმი ორივე მხარისთვის პრიორიტეტულია, ხოლო ვიზიტ ჯორჯია მზადაა წარმართოს თავისი საქმიანობა საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. ჩვენ ვალდებულნი ვართ, შევამციროთ ნებისმიერი უარყოფითი სოციალური და ეკოლოგიური გავლენა და ველით, რომ ჩვენი პარტნიორები იზიარებენ ამ ვალდებულებას. ვიზიტ ჯორჯიასთან თანამშრომლობისას მომწოდებლები ვალდებულნი არიან, სრული თანამშრომლობა უზრუნველყონ და საჭიროების შემთხვევაში მიაწოდონ ინფორმაცია მდგრადობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. გარდა ამისა, მომწოდებლებმა უნდა დაუშვან ადგილზე შემოწმებები, რათა დავრწმუნდეთ, რომ ისინი შეესაბამებიან ამ შეთანხმებაში აღნიშნულ მდგრადობის პირობებს. ვიზიტ ჯორჯია იტოვებს უფლებას შეწყვიტოს თანამშრომლობა, თუ გამოვლინდება ნდობის დარღვევის ფაქტი.

5.4 კოლექტიური ქმედებები

ვიზიტ ჯორჯია მზად არის მხარი დაუჭიროს სხვა ტუროპერატორებთან და შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობას, რათა დანიშნულების ადგილებში მდგრადი საცხოვრებლების განვითარებას ხელი შეეწყოს. საჭიროების შემთხვევაში, ჩვენ ღია ვართ ცოდნის, რესურსებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისთვის, რათა მდგრადი მიდგომები გავავრცელოთ სასტუმროების ინდუსტრიაში. ჩვენი მიზანია პარტნიორული ურთიერთობების

ჩამოყალიბება, რაც ტურიზმის სექტორის საერთო მდგრადობასა და ადგილობრივ თემებზე პოზიტიურ გავლენას შეუწყობს ხელს.

5.5 ბავშვთა შრომა და იძულებითი შრომა

ვიზიტ ჯორჯია უზრუნველყოფს, რომ საცხოვრებელი ობიექტების მომწოდებელთა ქსელში დაცული და პატივცემული იყოს ბავშვთა უფლებები. ჩვენ არ ვთანამშრომლობთ ისეთ საცხოვრებლებთან, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ჩართულნი არიან იძულებით შრომაში ან ბავშვთა შრომას იყენებენ იმ სამუშაოებისთვის, რომლებიც ზრდასრულებისთვის არის განკუთვნილი. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიები ბავშვებს ასაქმებენ, მათი სამუშაო დრო და პირობები უნდა შეესაბამებოდეს გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციასა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) 138-ე კონვენციას. ჩვენ ვემორჩილებით შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ბავშვთა შრომის განსაზღვრებას, რომლის მიხედვითაც:

"ბავშვთა შრომა ართმევს მათ ბავშვობას, პოტენციალს და ღირსებას და ზიანს აყენებს მათ ფიზიკურ და მენტალურ განვითარებას. ეს გულისხმობს ისეთ სამუშაოს, რომელიც ფსიქოლოგიურად, ფიზიკურად, სოციალურ ან მორალურ დონეზე საშიშია ბავშვებისთვის და/ან ხელს უშლის მათ განათლებას: ართმევს სკოლაში სწავლის შესაძლებლობას; აიძულებს ნაადრევად მიატოვონ სკოლა; ან აიძულებს, რომ სკოლაში სიარულთან ერთად შეასრულონ დამღლელი და მძიმე სამუშაო."

5.6 საცხოვრებელი ობიექტები და ადგილობრივი კულტურა

ვიზიტ ჯორჯია პრიორიტეტს ანიჭებს ისეთ საცხოვრებლებსა და რესტორნებს, რომლებიც აერთიანებენ ადგილობრივი ხელოვნების, არქიტექტურისა და კულტურული მემკვიდრეობის ელემენტებს. ეს მიდგომა არა მხოლოდ აუმჯობესებს სტუმრების გამოცდილებას, არამედ ხელს უწყობს ადგილობრივი ტრადიციებისა და ხელოსნობის დაცვასა და პოპულარიზაციას.

5.7 ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია

ვიზიტ ჯორჯია მოითხოვს, რომ მისი მომწოდებლები მკაცრად გმობდნენ ბავშვთა ექსპლუატაციას დაქირავებულ საცხოვრებელ ობიექტებსა და მათ ინფრასტრუქტურაზე. ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, შევწყვიტოთ კონტრაქტი, თუ მომწოდებელი არ იღებს საკმარის ზომებს ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის თავიდან ასაცილებლად და მის აღმოსაფხვრელად მათ საქმიანობაში.

5.8 ადგილობრივი საზოგადოებების რესურსები

თუ აღმოჩნდება, რომ კონტრაქტორი საცხოვრებელი ობიექტი საფრთხეს უქმნის ადგილობრივი თემის ძირითადი რესურსებისა და სერვისების ხელმისაწვდომობას, საცხოვრებლის წყაროებს, საარსებო წყაროსა და მნიშვნელოვან კულტურულ ან ისტორიულ ობიექტებზე წვდომას, ვიზიტ ჯორჯია იტოვებს უფლებას, წინასწარი გაფრთხილების გარეშე შეწყვიტოს კონტრაქტი.

თავი 6
აქტივობები

6.1 სერტიფიცირებული ექსკურსიები

თუ ვიზიტ ჯორჯია იწყებს თანამშრომლობას აქტივობების ან ექსკურსიების ოპერატორთან, უპირატესობა ენიჭება სერტიფიცირებულ ოპერატორებს, რომლებიც იცავენ აღიარებულ და

დადასტურებულ მდგრადობის სტანდარტებს.

6.2 ბიომრავალფეროვნების დაცვა

ვიზიტ ჯორჯიაში, ჩვენ ვიცავთ ბიომრავალფეროვნებას ეროვნულ პარკებში, დაცულ ტერიტორიებსა და UNESCO-ს ძეგლებზე მდგრადი ტურიზმის მეშვეობით. ამ ადგილებში ბილეთებს ვყიდულობთ მათ მხარდასაჭერად, ჩვენი ეკო-მეგობრული პრაქტიკა კი ამცირებს გარემოზე ზემოქმედებას და ხელს უწყობს კონსერვაციას. განათლების გზით, ხელს ვუწყობთ მდგრადი მოგზაურობის ქცევების განვითარებას. გიდები გადიან ტრენინგს, რათა მიაწოდონ ინფორმაცია სტუმრებს ფლორის, ფაუნისა და მონახულებული ადგილის ეკოლოგიური პრობლემების შესახებ. ისინი ასევე აძლევენ ინსტრუქციებს, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ვიზიტორები ამ ტერიტორიების შესანარჩუნებლად და დასაცავად.

6.3 ველური ბუნების ჩართულობა

ვიზიტ ჯორჯია არ სთავაზობს ექსკურსიებსა და ატრაქციებს იქ, სადაც ველური ცხოველები ტყვეობაში იმყოფებიან, გარდა იმ აქტივობებისა, რომლებიც მკაცრად რეგულირდება და შეესაბამება ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო კანონმდებლობას. ველურ ბუნებასთან დაკავშირებული ექსკურსიები შესაბამისი ეთიკური კოდექსების დაცვით ტარდება. მაქსიმალურად მცირდება ბუნებრივი ეკოსისტემის დარღვევის რისკი.

6.4 ველური ბუნების გამოყენება

ველური ბუნების სახეობები არ გამოიყენება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს რეგულირებადი საქმიანობის ნაწილია, რომელიც უზრუნველყოფს მათი გამოყენების მდგრადობას და შეესაბამება ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო კანონმდებლობას. ვიზიტ ჯორჯია არ უწევს პოპულარიზაციას ისეთ სუვენირებსა ან საკვებს, რომელიც შეიცავს გადაშენების პირას მყოფ მცენარეთა და ცხოველთა სახეობებს, როგორც ეს აღნიშნულია CITES-ის შეთანხმებასა და IUCN-ის "წითელ ნუსხაში". ნებისმიერი მსგავსი კრიმინალური ქმედების გამოვლენის შემთხვევაში, ვიზიტ ჯორჯია იტოვებს უფლებას, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს კონტრაქტი გაფრთხილების გარეშე.

6.5 ველურ ბუნებასთან ურთიერთქმედება

ვიზიტ ჯორჯია მოწოდებულია დაიცვას ადგილობრივი თემები და გარემო, ხოლო მოგზაურებს მისცეს შესაძლებლობა, აღმოაჩინონ საქართველოს უნიკალური ბუნებრივი სამყაროს სილამაზე. ჩვენი მიზანია, დავიცვათ ბუნებრივი და კულტურული საგანძურები, რის გამოც შევიმუშავეთ საერთაშორისო, საუკეთესო პრაქტიკებზე დაფუძნებული სახელმძღვანელო პრინციპები:

– ხაზგასმით აღვნიშნოთ ეკოლოგიური ზემოქმედების შემცირების მნიშვნელობა და ავუხსნათ ტურისტებს ეკოსისტემების დაცვის მნიშვნელობა;
– პროპაგანდას ვუწევთ ველური ბუნების პასუხისმგებლიანად დაკვირვებას და ვეწინააღმდეგებით ნებისმიერ საქმიანობას, რომელიც აზიანებს ადგილობრივ ფლორასა და ფაუნას;
– მოვუწოდებთ ტურისტებს, გამოიყენონ მრავალჯერადი და ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქცია გარემოს დაბინძურების შესამცირებლად;
– ტურისტებს ვაწვდით ინფორმაციას იმ ადგილების ბუნებრივ და კულტურულ მნიშვნელობაზე, რომლებსაც ისინი სტუმრობენ;
– გიდები ატარებენ საინფორმაციო ინსტრუქტაჟებს ბუნებრივ გარემოში შესაბამისი ქცევის წესებზე;
– ვიღებთ ზომებს ბუნებრივად მგრძნობიარე ტერიტორიებზე გადატვირთულობის თავიდან ასაცილებლად, მაგალითად, ჯგუფების ზომის შეზღუდვა და რეზერვაციის სისტემის დანერგვა.

6.6 ადგილობრივი თემების მხარდაჭერა

ვიზიტ ჯორჯიას ტურისტული პაკეტები მოიცავს ისეთ ექსკურსიებსა და აქტივობებს, რომლებიც პირდაპირ უწყობს ხელს ადგილობრივი თემების განვითარებას. ეს მოიცავს ადგილობრივი მომსახურებებისა და პროდუქციის შეძენას, ტრადიციული ხელოსნობის მხარდაჭერას, ადგილობრივი კვების წარმოების მეთოდების წახალისებას და სოციალური პროექტების მონახულებას. ჩვენი მიზანია, შევიტანოთ დადებითი წვლილი ადგილობრივი თემების კეთილდღეობასა და ფინანსურ სტაბილურობაში.

თავი 7
ტურ ლიდერები, ადგილობრივი წარმომადგენლები და გიდები

7.1 ადგილობრივი ტურ ლიდერის/ წარმომადგენლის უპირატესობა

ადგილობრივი კვალიფიციური სამუშაო ძალის დასაქმების, თემების გაძლიერებისა და ტურიზმის გარემოზე ზემოქმედების შემცირების მიზნით, ვიზიტ ჯორჯია უპირატესობას ანიჭებს ადგილობრივი კვალიფიციური კადრების დაქირავებას, განსაკუთრებით კულტურულად და ეკოლოგიურად მგრძნობიარე ტერიტორიებზე. საჭიროების შემთხვევაში, ვიზიტ ჯორჯია ორგანიზებას გაუწევს ან დააფინანსებს პროფესიულ ტრენინგებს ადგილობრივი თანამშრომლების კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

7.2 დასაქმების პირობები

გიდები, მეგზურები და ადგილობრივი წარმომადგენლები ოფიციალურად არიან დასაქმებული, რაც უზრუნველყოფს მათთვის ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებისა და სოციალური დაცვის მინიჭებას. მათი მოვალეობები და სარგებელი ნათლად არის აღწერილი წერილობით ხელშეკრულებებში, თუნდაც ისინი თავისუფალი დასაქმებულები (freelancer-ები) იყვნენ.

7.3 ღირსეული ხელფასი

ვიზიტ ჯორჯია ვალდებულია უზრუნველყოს სამართლიანი და ადეკვატური ანაზღაურება ყველა თანამშრომლისთვის, მათ შორის გიდებისთვის. კომპანიის კომპენსაციის პოლიტიკა ეფუძნება ღირსეული ანაზღაურების პრინციპს, რაც გულისხმობს, რომ თითოეულ თანამშრომელს მიეცემა საკმარისი ანაზღაურება ღირსეული ცხოვრების პირობების უზრუნველსაყოფად, მათ შორის კვების, საცხოვრებლის, ტრანსპორტის, ჯანდაცვის, განათლებისა და მოულოდნელი შემთხვევების ხარჯებისთვის.

7.4 ლიცენზია

ვიზიტ ჯორჯია აღიარებს ლიცენზირებული გიდების როლს პასუხისმგებლიანი და მაღალი ხარისხის ტურიზმის განვითარებაში. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად საქართველოში გიდებისთვის სავალდებულო არ არის ლიცენზიის ქონა, ვიზიტ ჯორჯია მზად არის დაიცვას შესაბამისი რეგულაციები, როგორც კი ისინი ამოქმედდება. კომპანიის ვალდებულებები ლიცენზიის სავალდებულო წესად დამკვიდრების შემთხვევაში:

– დარწმუნდება, რომ ყველა დაქირავებულ და კონტრაქტით დასაქმებულ გიდს გააჩნია მოქმედი და ოფიციალური ლიცენზია;
– მოამზადებს თითოეული გიდის ლიცენზიის ჩანაწერს, დაცულ და კონფიდენციალურ ონლაინ მონაცემთა ბაზაში;

– რეგულარულად განიხილავს და განაახლებს ლიცენზიებს, რათა უზრუნველყოს პროფესიული სტანდარტების დაცვა.

7.5 კვალიფიკაცია და ტრენინგი

ვიზიტ ჯორჯია უზრუნველყოფს გიდებისა და სხვა შესაბამისი პერსონალის რეგულარულ ტრენინგებს, რათა ისინი გაეცნონ კომპანიის კულტურას, მიღწევებსა და სამომავლო გეგმებს, ასევე შეიძინონ აუცილებელი პროფესიული ცოდნა და უნარები.

7.6 მდგრადობის პოლიტიკის გაცნობა

ვიზიტ ჯორჯიას გიდები, ადგილობრივი წარმომადგენლები და მეგზურები დეტალურად ეცნობიან კომპანიის მდგრადობის პოლიტიკის ძირითად ასპექტებს და ვალდებულნი არიან, დაიცვან ის.

7.7 მდგრადი ტურიზმის ცოდნა

ვიზიტ ჯორჯია რეგულარულად აორგანიზებს სასწავლო სესიებს, დისკუსიებსა და მასალის გავრცელებას გიდებისთვის, რათა გააღრმავოს მათი ცოდნა მდგრადი ტურიზმის პრინციპებზე.

7.8 დანიშნულების ადგილის ცოდნა

ვიზიტ ჯორჯია აცნობიერებს თავის ვალდებულებას, შეისწავლოს თითოეული დანიშნულების ადგილის მდგრადობის ასპექტები და გადასცეს ეს ინფორმაცია გიდებს, რათა თანამშრომლები და კლიენტები შესაბამისად მოიქცნენ ყველა ლოკაციაზე.

7.9 მომხმარებელთან კომუნიკაცია

ვიზიტ ჯორჯიას გიდები, ადგილობრივი წარმომადგენლები და მეგზურები კლიენტებს აწვდიან ინფორმაციას დანიშნულების ადგილის მდგრადობის საკითხებზე, ადგილობრივ სოციალურ ნორმებსა და ფასეულობებზე, ასევე ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებზე.

7.10 ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის პრევენცია: პერსონალის ტრენინგი

ვიზიტ ჯორჯია უზრუნველყოფს გიდებისა და მეგზურების მომზადებას ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის ამოცნობისა და პრევენციის საკითხებში. ამ მიზნით, VisitGeorgia Academy ყოველწლიურად ჩაატარებს ტრენინგებს, როგორც ახალი, ასევე მოქმედი გიდებისთვის. ეს ტრენინგები დაფუძნებული იქნება Travelife-ის მასალებსა და საერთაშორისო ორგანიზაციების, როგორიცაა ECPAT, UNICEF და Child Safe Network, რეკომენდაციებზე.

7.11 სამუშაო პირობები

ვიზიტ ჯორჯია უზრუნველყოფს გიდებისთვის, წარმომადგენლებისთვის, მეგზურებისა და სხვა ადგილზე დასაქმებული პერსონალისთვის ხელსაყრელ სამუშაო პირობებს, რაც მოიცავს:

– სამართლიან ანაზღაურებას, რაც ხელს უწყობს მათ კეთილდღეობასა და მოტივაციას;
– გონივრულ სამუშაო საათებსა და დასვენების შესაბამის პერიოდებს;
– ინვესტიციას ტრენინგსა და პროფესიული უნარების გაუმჯობესებაში;
– უსაფრთხო სამუშაო გარემოს და სამედიცინო დახმარებაზე ხელმისაწვდომობას.

თავი 8
მიმართულებები

8.1 მდგრადი ტურისტული მიმართულებები
ვიზიტ ჯორჯია ახალ ტურისტულ მიმართულებებს ირჩევს და ტურისტული პროდუქტების განვითარებას ისე წარმართავს, რომ გათვალისწინებული იყოს მდგრადობის ასპექტები. ჩვენი მიზანია, ვიზიტის სოციალური და გარემოსდაცვითი სარგებელი ადგილობრივ თემებს მივაწოდოთ. გვესმის ვიზიტორთა განაწილების მნიშვნელობა და იმ საფრთხეების თავიდან არიდება, რაც შეიძლება გამოიწვიოს ტურისტული მიმართულებების გადატვირთვამ. შესაბამისად, ხელს ვუწყობთ ნაკლებად ცნობადი ადგილების პოპულარიზაციას (ადგილობრივი თემის თანხმობით), რათა თავიდან ავიცილოთ გადაჭარბებული ტურიზმის უარყოფითი შედეგები.

8.2 არამდგრადი ტურისტული მიმართულებები
ვიზიტ ჯორჯიას მიზანია, ხელი შეუწყოს მხოლოდ პასუხისმგებლიან ტურიზმს, სადაც ტურიზმის სარგებელი მნიშვნელოვნად აჭარბებს მის შესაძლო ნეგატიურ გავლენას. როგორც პასუხისმგებლიანი ტუროპერატორი, ჩვენ ვცდილობთ, არ გავზარდოთ ზეწოლა ისეთ ტურისტულ მიმართულებებზე, რომლებიც უკვე არამდგრადია.

8.3 შესაბამისობა ადგილობრივ დაგეგმვასთან
ვიზიტ ჯორჯიას-ს საქმიანობა სრულ შესაბამისობაშია სივრცითი დაგეგმვის, დაცული ტერიტორიების, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის რეგულაციებსა და ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ სამმართველო სტრატეგიებთან.

8.4 აკრძალული სუვენირები
ვიზიტ ჯორჯია მხარს უჭერს პასუხისმგებლიან ტურიზმს და საქართველოს კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვას. ჩვენი მდგრადი და ეთიკური მოგზაურობის ვალდებულების შესაბამისად, არ ვაძლევთ მომხმარებლებს ნებას შეიძინონ სუვენირები, რომლებიც შეიცავს:
- გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ფლორისა და ფაუნის სახეობებს;
- უკანონოდ მოპოვებულ ისტორიულ და არქეოლოგიურ არტეფაქტებს;
- ნარკოტიკულ ან სხვა უკანონო ნივთიერებებს.

თავი 9
მომხმარებელთან ურთიერთობა და დაცვა

9.1 საკონსულტაციო სახელმძღვანელო პრინციპები
ვიზიტ ჯორჯიას წარმომადგენლები ემორჩილებიან მომხმარებელთან კომუნიკაციის სახელმძღვანელო პრინციპებს, რათა კომპანიის კულტურის, ტურისტული მიმართულებების, მდგრადი პრაქტიკების, ეკოლოგიურად მეგობრული ტურ-პროგრამების და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ ინფორმაცია ეფექტურად და ადეკვატურად მიაწოდონ.

9.2 მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის სისტემა
ვიზიტ ჯორჯია აცნობიერებს მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის სისტემის (CRM) მნიშვნელობას, რათა შევაგროვოთ უკუკავშირი, განვიხილოთ მათი შთაბეჭდილებები

ᲫᲐ

მოსაზრებები და გავაუმჯობესოთ სერვისები. ჩვენ ვალდებულებას ვიღებთ, მუდმივად განვავითაროთ ჩვენი CRM სისტემა მომხმარებელთა კმაყოფილების გასაზრდელად.

9.3 მომხმარებლის კონფიდენციალურობა

ვიზიტ ჯორჯია მოწოდებულია უზრუნველყოს ჩვენი მომხმარებლების მონაცემების კონფიდენციალურობა და უსაფრთხოება. ჩვენ შევიმუშავეთ მომხმარებლის კონფიდენციალურობის პოლიტიკა, რომელიც არა მხოლოდ ადგილობრივ კანონმდებლობას შეესაბამება, არამედ მკაცრ საერთაშორისო სტანდარტებსაც.

– პერსონალური მონაცემები იკრიბება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ეს აუცილებელია ჩვენი მომსახურების უზრუნველსაყოფად.

– ყველა პერსონალური მონაცემი ინახება მაქსიმუმ 1 წლის ვადით.

– მომხმარებლები ინფორმირებულნი არიან, როგორ და სად ვინახავთ მონაცემებს, ასევე მათ აქვთ უფლება მოითხოვონ საკუთარი მონაცემების წაშლა ჩვენი მონაცემთა ბაზიდან.

– ჩვენ ვიცავთ ჩვენი სტუმრებისა და მომხმარებლების კონფიდენციალურობას და გარანტიას ვაძლევთ, რომ ნებისმიერი მოწოდებული ინფორმაცია მკაცრად დაცულია.

– თუ სერვისის მიწოდება მოითხოვს მომხმარებლის მონაცემების გადაცემას მესამე პირზე, მომხმარებელი წინასწარ მიიღებს შესაბამის ინფორმაციას.

9.4 მარკეტინგი და კომუნიკაცია

ვიზიტ ჯორჯია უზრუნველყოფს, რომ არანაირი მარკეტინგული მასალა, რეკლამა, განცხადება ან სხვა პუბლიკაცია არ შეიცავს ცრუ ან შეცდომაში შემყვან ინფორმაციას. ჩვენი გუნდი ვალდებულია, შესთავაზოს მომხმარებელს ზუსტად ის მომსახურება, რაც რეკლამირებულია.

9.5 პროდუქტის ინფორმაცია

ვიზიტ ჯორჯია უზრუნველყოფს, რომ ტურის, ფასების, მდგრადი ტურიზმის პრინციპების და სხვა მნიშვნელოვანი დეტალების შესახებ ინფორმაცია იყოს ზუსტი და ამომწურავი, რათა მომხმარებლებმა ინფორმირებული გადაწყვეტილებები მიიღონ.

9.6 დანიშნულების ადგილის ინფორმაცია

ვიზიტ ჯორჯია გარანტიას იძლევა, რომ დანიშნულების ადგილის შესახებ ინფორმაცია, მათ შორის მდგრადი ტურიზმის ასპექტები, იქნება ზუსტი, მრავალმხრივი და ამომწურავი.

9.7 ჯგუფის ზომის ინფორმაცია

ვიზიტ ჯორჯია უზრუნველყოფს, რომ მომხმარებლებს მიეწოდოთ ინფორმაცია ტურში მონაწილე პირების რაოდენობის შესახებ, ან პირდაპირ, ან პარტნიორი ტუროპერატორების მეშვეობით.

9.8 სათბური გაზების/ნახშირბადის ემისიების მაჩვენებელი

ვიზიტ ჯორჯია ვალდებულებას იღებს, შეაფასოს თითოეული ტურის ნახშირბადის ემისია და ეს ინფორმაცია მომხმარებლებსა და პარტნიორ ტურისტულ სააგენტოებს ხელმისაწვდომი გაუხადოს.

9.9 მდგრადი ტრანსპორტი

ვიზიტ ჯორჯია მომხმარებლებს აწვდის ინფორმაციას სხვადასხვა ტრანსპორტის გარემოზე ზემოქმედების შესახებ და, სადაც შესაძლებელია, სთავაზობს მდგრად ალტერნატივებს.

9.10 მდგრადი განთავსებისა და ექსკურსიების აღნიშვნა

ვიზიტ ჯორჯია ვალდებულია, გამოიყენოს სპეციალური აღნიშვნები, რათა მომხმარებლებს მარტივად შეეძლოთ მდგრადი განთავსებისა და აქტივობების ამოცნობა და სწორი არჩევანის გაკეთება.

9.11 მდგრადი შეთავაზებების კონსულტაცია

ვიზიტ ჯორჯიას წარმომადგენლები ვალდებულებას იღებენ, მომხმარებლებს და პარტნიორ ტურისტულ სააგენტოებს შესთავაზონ მდგრადი ალტერნატივები განთავსების, ექსკურსიების, ტურ-პაკეტებისა და ტრანსპორტის კუთხით.

9.12 დანიშნულების ადგილის ინფორმაცია და ინტერპრეტაცია

ვიზიტ ჯორჯია ვალდებულია, ტურისტებს მიაწოდოს ზუსტი, განახლებული და ობიექტური ინფორმაცია დანიშნულების ადგილის შესახებ, რათა მათ მიიღონ საუკეთესო გამოცდილება და ხელი შეუწყონ მდგრადი ტურიზმის პრინციპების დაცვას.

Alexander Mamulashvili 01024010474
Digitally signed by Alexander Mamulashvili
Date: 2025.04.01 18:04:56

Tea Kavtaria 01008013749
Digitally signed by Tea Kavtaria
Date: 2025.04.01 18:19:54

Ketevani Tsiklauri 31001055904
Digitally signed by Ketevani Tsiklauri
Date: 2025.04.02 10:20:37

Nato Chiokadze 01027004085
Digitally signed by Nato Chiokadze
Date: 2025.04.02 10:46:43

Lela Charkviani 15001000975
Digitally signed by Lela Charkviani
Date: 2025.04.02 11:45:51

Sopiko Parkosadze 38001047582
Digitally signed by Sopiko Parkosadze
Date: 2025.04.02 12:46:45

Giorgi Matikashvili 45001001073
Digitally signed by Giorgi Matikashvili
Date: 2025.04.02 15:25:15

Lali Berianidze 01006010239
Digitally signed by Lali Berianidze
Date: 2025.04.02 18:12:11

Tetu Charkviani 15001000317
Digitally signed by Tetu Charkviani
Date: 2025.04.03 12:41:43

Tamar Khubua 01013029002
Digitally signed by Tamar Khubua
Date: 2025.04.03 14:10:09

Maia Odisharia 39001036325
Digitally signed by Maia Odisharia
Date: 2025.04.03 15:58:03